



**თვითმმართველი თემი  
თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულო**

**გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა № 28**

**2014 წლის 03 სექტემბერი**

**თვითმმართველი თემი თელავის მუნიციპალიტეტის გამგეობის კულტურის, ძეგლთა დაცვის, განათლების, სპორტის და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის 2014 წლის მუნიციპალური პროგრამის დამტკიცების შესახებ**

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველოს კოდექსის“ 16-ე მუხლის მეოთხე ნაწილის და ამავე კოდექსის 19-ე მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად,

**1.** დამტკიცდეს თვითმმართველი თემი თელავის მუნიციპალიტეტის გამგეობის კულტურის, ძეგლთა დაცვის, განათლების, სპორტის და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის 2014 წლის თელავის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე კულტურულ მემკვიდრეობის ძეგლების მოვლა-პატრონობის პროგრამა და ხარჯთაღრიცხვა დანართი №1-ის შესაბამისად.

**2.** დამტკიცდეს თვითმმართველი თემი თელავის მუნიციპალიტეტის გამგეობის კულტურის, ძეგლთა დაცვის, განათლების, სპორტის და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის 2014 წლის სპორტული და ახალგაზრდობისათვის ისტორიულ შემეცნებითი, ზოგადსაგანმანათლებლო ღონისძიებების პროგრამა და ხარჯთაღრიცხვა დანართი №2-ის შესაბამისად.

**3.** დამტკიცდეს თვითმმართველი თემი თელავის მუნიციპალიტეტის გამგეობის კულტურის, ძეგლთა დაცვის, განათლების, სპორტის და ახალგაზრდულ საქმეთა

სამსახურის 2014 წლის თელავის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში ღონისძიების ხარჯთაღრიცხვა დანართი N3 შესაბამისად.

4. განკარგულება ძალაში შევიდეს გამოქვეყნებისთანავე.

5. განკარგულების გასაჩივრება შესაძლებელია თელავის რაიონულ სასამართლოში, მისი ძალაში შესვლიდან 1 თვის ვადაში (მის.ქ. თელავი, დავით აღმაშენებლის გამზ. №41).

საკრებულოს თავმჯდომარე

პაატა გიორგობიანი

თელავის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე კულტურული მემკვიდრეობის  
ძეგლების დაცვის 2014 წლის პროგრამა

**მიზანი:**

თელავის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული კულტურული მემკვიდრეობის მოვლა პატრონობა, მონიტორინგი, უცნობი ძეგლების მოძიება, კულტურული მემკვიდრეობის რესურსების მართვის თანამედროვე სისტემით აღჭურვა.

**ძირითადი მიმართულებები:**

1. ხელი შეუწყოს თელავის მუნიციპალიტეტის და კუთხის პოპულარიზაციას.
2. მოახდინოს ძეგლების ინვენტარიზაცია.
3. მოაწყოს ძეგლთა დაცვასთან დაკავშირებული ღონისძიებები.
4. მოაწყოს კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების დასუფთავება.

თელავის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების დაცვის 2014 წლის პროგრამის ხარჯთაღრიცხვა

ლონისძიების დასახელება	ჩატარების თარიღი	ჩატარების ადგილი	თანხა სულ	დასუფთავებულ ბასთან დაკავშირებული ინვენტარის შეძენა	მოწვეულ სპეციალისტთა ხარჯები	ბეჭდვითი მომსახურება (მათ შორის, A3 ფოტოები, ბუკლეტები, კალენდრები, გზამკვლეულები, ძეგლზე ჩატარებული სამუშაოების საანგარიშო გამოცემები, პროექტების ბეჭდვა)	საწვავი (ბენზინი)	წარმომადგენლო ბითი/კვების და სარესტორნო მომსახურეობის ხარჯები	საინფორმაციო ბაზის შექმნის მიზნით JPS-ის და ფოტოაპარატის და ნოუტბუქის შესაძენი ხარჯები
მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების მონიტორინგი	წლის განმავლობაში	მუნიციპალიტეტის ტერიტორია	900				900		
მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების ერთიანი საინფორმაციო ბაზის შექმნის მიზნით მოსამზადებელი სამუშაოები			3140						3140
კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების დაცვასთან დაკავშირებული ღონისძიებების მოწყობა/დასუფთავება	წლის განმავლობაში		960	400				560	
სულ ჯამი			5000						

საკრებულოს თავმჯდომარე

პაატა გიორგობიანი

სპორტული და ახალგაზრდობისათვის ისტორიულ - შემეცნებითი,  
ზოგადსაგანმანათლებლო ღონისძიებების 2014 წლის  
პ რ ო გ რ ა მ ა

**მიზანი:**

ცხოვრების ჯანსაღი წესის დანერგვა და სპორტის სხვადასხვა სახეობების განვითარების ხელშეწყობა მუნიციპალურ დონეზე. ახალგაზრდულ ღონისძიებათა ორგანიზება, ისტორიულ - შემეცნებითი პროგრამების განხორციელება, ახალგაზრდებში ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრება, ნიჭის თვითრეალიზაცია, ახალგაზრდული პროექტების მხარდაჭერა და მათი საზოგადოებრივ საქმიანობაში ჩართვა.

**ძირითადი მიმართულებები:**

- საერთაშორისო ტურნირები
- ხსოვნის ტურნირები
- საქველმოქმედო ტურნირები
- ადგილობრივი ტურნირები
- ახალგაზრდების ნიჭის თვითრეალიზაციის საშუალება (ლიტერატურული სადამოები და ა. შ. )
- ახალგაზრდებში ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრება (ლაშქრობები და ა.შ.)
- ახალგაზრდული პროექტების მხარდაჭერა

**სპორტული და ახალგაზრდობისათვის ისტორიულ - შემეცნებითი, ზოგადსაგანმანათლებლო ღონისძიებების 2014 წლის პროგრამის ხარჯთაღიწვვა**

№	ღონისძიების დასახელება	ჩატარების თარიღი	ჩატარების ადგილი	თანხა სულ (ათასი ლარი)	ფასიანი	სარეს	სასტუმ	საწვერ	სატრანს	ბეჭედი	სპორტუ	კმების	წიგნების	გახ	შენიშვნა
					საჩუქრები(პრიზები,ჯილდოები)	ტორნო მომსახურება	როს მომსახურება	ლო გადასახადი	პორტო მომსახურება	თი მომსახურება	ლი პროდუქტები	მონების შექმნა	მოვლენა		
	<b>სპორტი (ხსოვნისადმი მიძღვნილი ტურნირები) და სხვა</b>														
1	მინი ფეხბურთი	X-XI	წინანდალი	380	330					50					
2	ფრენბურთი	IX-X	იყალთო	460	405					55					
3	მკლავჭიდი	X	ვარდისუბანი	320	300					20					<b>წონა X5</b>
4	ქართული ჭიდაობა 5X			3000	2200					50				750	<b>5 სოფლის დღეობა</b>
5	ღვწლმოსილი სპორტსმენების მწვრთველების იუბილეები	XI	იყალთო	1000	500	500									გურამ გიგოლაშვილი
	<b>ახალგაზრდული ღონისძიებები</b>														
6	რუისპირისი სამუსიკო სკოლის მოსწავლის დაფინანსება	21 სექტემბერი		1 400											თურქეთის საერთაშორისო ფესტივალზე თამაზ თანდილაშვილი

7	ექსკურსია	ოქტომბერი	რაბათი ვარძია	3 075			675		1500			900		45 კაცი რაიონის წარჩინებული მოსწავლეები
8	რა,სად, როდის	ოქტომბერი, ნოემბერი		600								600		
9	პოეზიის საღამო	დეკემბერი		465	165							300		ახალგაზრდა დამწელები პოეტები
	სულ (ლარი)			10 700	3900	500	675	0	1500	175	0	1600	600	750

**შედეგი:**

რაც შეიძლება მეტი ახალგაზრდის დაინტერესება სპორტის რომელიმე სახეობით და ჩართულობა სპორტულ ღონისძიებებში.

ხარისხობრივად და თვისობრივად მაღალ დონეზე განხორციელებული პროექტების შედეგად მოხდება ახალგაზრდების ინტელექტის, ჯანსაღი და სულიერი ცხოვრების ამაღლება.

საკრებულოს თავმჯდომარე

პაატა გიორგობიანი

თელავის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის  
დაწესებულებების 2014 წლის ღონისძიებების პროგრამის  
ხარჯთაღრიცხვა

ღონისძიება	თარიღი	თანხა (ლარი)	წიგნები	შენიშვნა
სააღმზრდელო ლიტერატურა, თვალსაჩინო მასალების შეძენა	სექტემბერი	900	900	ახალი სასწავლო წლის დაწყებასთან დაკავშირებით
სულ:		900		

საკრებულოს თავმჯდომარე

პაატა გიორგობიანი